ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4717825

ნომერი: AR1708038

თარიღი : 20.09.2019

გაცემის თარიღი : 22.10.2019

გაცნობის თარიღი : 22.10.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N187;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან მამისაშვილი პ/ნ 01021001076
- ქ. თბილისი, ავშნის ქ. #126

ნომენკლატურა :

- სავაჭრო ცენტრი
- III კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სავაჭრო ცენტრი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ლევან მამისაშვილი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს LM Architect
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 400248380

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:
სამსახური წარმოდგენილ ესკიზს დადებითად აფასებს, თუმცა ესკიზის საფუძველზე მშენებლობის ნებართვას ვერ გასცემს. საჭიროა წარმოადგინო შესაბამისი არქიტექტურული პროექტი და დოკუმენტაცია, რის საფუძველზე სამსახური იმსჯელებს ნებართვის გაცემის საკითხზე. გაითვალისწინეთ, რომ სამშენებლო დოკუმენტის პროექტი უნდა მომზადდეს მოქმედი სამშენებლო საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, მათ შორის:
1. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის დადგენილება №57 „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“;
2. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის დადგენილება №57 დადგენილების 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის დაცვა;
3. დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმით მოცემული მიწის ნაკვეთისთვის დადგენილი ფუნქციური ზონის მოთხოვნები;
4. „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები“, დამტკიცებული ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N4-13 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;
ასევე, ობიექტი არ უნდა იყოს შეუსაბამო სტატუსის მქონე და არ უნდა გააჩნდეს სხვა სამართლებრივი შეზღუდვები;

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.